ოქმი N18

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი

2016 წლის 28 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა, დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა მათ, როგორც პირად, ასევე სამსახურეობრივ საქმიანობაში

დღის წესრიგი:

1. „საკრებულოს წევრის ალექსანდრე ნაჭყებიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი; თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა და ხობის მუნიციპალიტეტის 2017-2018 – 2020 წლების ადგილობრივი პრიორიტეტების მოწონების შესახებ;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი; თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

4. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

5. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის,
ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური სამსახურის უფროსი).

9. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის 2017 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური სამსახურის უფროსი);

10. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

11. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 დეკემბრის N62 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: კ. მიქაბერიძე)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „საკრებულოს წევრის ალექსანდრე ნაჭყებიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საკრებულოს წევრის ალექსანდრე ნაჭყებიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, ა. ნაჭყებიას განმარტებით, ის ოჯახური პირობებისა და ავადმყოფობის გამო ვერ ცხადდებოდა საკრებულოსა და კომისიის სხდომებზე და განცხადების საფუძველზე ითხოვდა გაცდენილი პერიოდის საპატიოდ ჩათვლას. ამასთან აღსანიშნავია, რომ საკრებულოს აპარატის უფროსის სახელზე ა. ნაჭყებიას ყოველთვიურად წარმოდგენილი აქვს განცხადებები ამომრჩევლებთან ყოველთვიური შეხვედრების გამართვის შესახებ. საკრებულოს წევრი ალექსანდრე ნაჭყებია 6 თვეზე მეტია არ დასწრებია საკრებულოს სხდომას და მონაწილეობა არ მიუღია საკრებულოს მუშაობაში, მიუხედავად იმისა, რომ მას წარმოდგენილი აქვს განცხადება, საკრებულოს სხდომებზე გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლის თაობაზე, კომისია თვლის, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საკრებულოს რეგლამენტის თანახმად საკრებულოს წევრის მხრიდან 6 თვის განმავლობაში საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში დგება საკითხი საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, აღნიშნული საკითხი გადის საკრებულოს სხდომაზე კენჭისყრისთვის, საკრებულოს წევრების მხრიდან საკითხისთვის მხარდაჭერის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკრებულოს წევრს უნარჩუნდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ კანონის მოთხოვნის გათვალისწინებით მოამზადდა განკარგულების პროექტი „საკრებულოს წევრის ალექსანდრე ნაჭყებიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ და კომისიის დასკვნა, საკრებულოს სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ შემოდის საკრებულოს უმრავლესობის ფრაქციის სახელით ა. ნაჭყებიას მიერ საკრებულოს და საკრებულოს

კომისიის სხდომებზე გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლის შესახებ, მისი ოჯახური პირობებისა და ავადმყოფობიდან გამომდინარე. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ იგივე აზრი დააფიქსირა ბიუროს სხდომაზეც, სადაც ბიუროს წევრები ერთხმად დაეთანხმნენს მის მიერ წარმოდგენილ წინადადებას გაცდენილი სხდომების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე.

ე. წურწუმია - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ მართალია ზედიზედ 6 - ჯერ საკრებულოს სხდომის გაცდენის შემთხვევაში, კანონით საკითხი დგება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, კანონის ამ ნორმის შესაბამისად სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიამ წარმოადგინა შესაბამისი განკარგულება, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ამ კომისიის წევრია, კენჭისყრაში არ მიიღებს მონაწილეობას, რადგანაც მხარს არ უჭერს საკრებულოს წევრის ა. ნაჭყებიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ალექსანდრე ნაჭყებიასთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 0, წინააღმდეგი – 22

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, კ. მიქაბერიძე)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ნ. შუშანია, თ. აბაკელია, მ. ფილიპია, ბ. ქირია, შ. ჭილაია, ე. წურწუმია)

დაადგინეს: ალექსანდრე ნაჭყებიას არ შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ე. წურწუმია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მისი განცხადება არ ეხება წარმოდგენილ დღის წესრიგს, ეს ეხება მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შემდგომ მიღება-ჩაბარებებს, რომლებიც ბოლომდე დასრულებული არ არის და ისე ხდება მათი ჩაბარება, რაც მოსახლეობაში ეჭვს იწვევს. ამიტომ, როგორც ადრე, აღნიშნა უნდა შეიქმნას გამგეობის შესაბამისი სამსახურებისა და საკრებულოს წევრებისგან ერთობლივი კომისია და გადამოწმებულ იქნეს დასრულებული ობიექტები, რადგანაც თანხები უყაირათოდ არ იქნეს დახარჯული და ხარისხიანად გაკეთდეს ყველაფერი. მაგალითად, ქალაქის კულტურის სახლის შენობა, მთლიანად გადაიხურა და როგორც მისთვის გახდა ცნობილი უკვე აწვიმს რამოდენიმე ადგილზე, ტროტუარები გაკეთდა ქალაქში და ორჯერ იქნა აყრილი, ასეთი ბევრია და უმჯობესი იქნება დროულად გადამოწმდეს ყველაფერი რამდენად ხარისხიანად ხორციელდება სამუშაოები, სანამ ამით შესაბამისი სამსახურები დაინტერესდებიან.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ კანონის შესაბამისად მოხდება ობიექტების გადამოწმება, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები მუხლიდან „გრანტები“ 185,2 ათასი ლარით. შემოსავლების ზრდით მიღებული 185,2 ათასი ლარი, მიიმართება პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებებზე - ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის აღდგენის სამუშაოები. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა გაიზარდა 630,0 ათასი ლარით და შეადგინა 13861,7 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული

ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ჯ. ნადარაია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N24 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა და ხობის მუნიციპალიტეტის 2017-2018 – 2020 წლების ადგილობრივი პრიორიტეტების მოწონების შესახებ წინადადება;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და ხობის მუნიციპალიტეტის 2017-2018-2020 წლების ადგილობრივი პრიორიტეტები

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე - გამომსვლელი მიესალმა იმ ფაქტს, რომ 2016 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 2017 წლის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლის გაზრდაში დიდი წვლილი მიუძღვით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ხობის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს ი. ბერაიას.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეთანხმება წინა გამომსვლელს და ყველას მადლობა გადაუხადა, ვისაც მცირეოდენი წვლილი მიუძღვოდა 2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმარებაში.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2017 წლის შემოთავაზებული ვარიანტით ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განსაზღვრულია 8243,8 ათასი ლარით, მათ შორის საგრანტო შემოსავლების ხარჯზე მოდის 210,0 ათასი ლარი, გადასახადები 7600,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 383,8 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების - 50,0 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით საშემოსავლო ნაწილი გაზრდილია 1599,6 ათასი ლარით, გადასახადები გაზრდილია 4150,0 ათასი ლარით, საგრანტო შემოსავლები შემცირებულია 2137,7 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 6114,3 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1813,6 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 992,3 ათასი ლარი, სუბსიდიები 2716,2 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 452,8 ათასი ლარი, გრანტები 12,0 ათასი ლარი, პროცენტი 54,3 ათასი ლარი. ხარჯები წინა წელთან შედარებით შემცირებულია 338,9 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა - 2079,5 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 1867,6 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 1917,6 ათასი ლარი, კლება 50,0 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 211,9 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 8243,8 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები - 6114,3 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 1917,6 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება - 211,9 ათასი ლარით. გამომსვლელის განცხადებით, პროექტში ნაწილობრივ გათვალისწინებულია კომისიის მიერ შემუშავებული შენიშვნები და წინადადებები. პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ჯ. ნადარაია, კ. მიქაბერიძე, გ. ხურცილავა, ლ. ლოლუა, ე. წურწუმია, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N25 ოქმს თან ერთვის)

3. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული თანხები შესაბამის საბიუჯეტო მუხლებში, რომლის ფარგლებშიც ასევე მიზანშეწონილად ჩაითვალა ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფიჭური სატელეფონო მომსახურებისთვის (კორპორაციული საავანსო ნომრების) გათვალისწინებული ხარჯების შეზღუდვა, კერძოდ: 2017 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთათვის გამოყოფილ კორპორაციულ სატელეფონო ნომრებზე უქმდება ლიმიტით გათვალისწინებული თანხების დარიცხვა. გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა აღნიშნული პროექტი, რომელიც მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ჯ. ნადარაია, კ. მიქაბერიძე,გ. ხურცილავა, ლ. ლოლუა, ე. წურწუმია, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N63 ოქმს თან ერთვის)

4. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

გამომსვლელმა (ზ. ბუკია) საკითხის წარმოდგენამდე განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრის ე. წურწუმიას შენიშვნაზე, რაც შეეხებოდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოების უხარისხოდ წარმოებასა დ დაუსრულებელი ობიექტების ჩაბარებას და განაცხადა, რომ „ყველა ობიექტი ჩაბარებულია დროულად, ისინი აკმაყოფილებენ დადგენილ სტანდარტებს და ვისაც ეჭვი ეპარება ამაში, შეუძლია კონტროლის ჯგუფთან ერთად ჩაერთოს და ხელახლა გადამოწმდეს ყველა ობიექტი“.

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა ისაუბრა ქალაქში სასმელი წყლის მილების გაყვანასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შემსრულებელმა კომპანიამ ტროტუარზე ფილები აყარა მილების ჩალაგების დროს და ტროტუარი დატოვა შეკეთების გარეშე და სთხოვა გამგეობის შესაბამის სამსახურებს, ყურადღება მიექციათ აღნიშნული პრობლემისთვის და გაეკონტროლებინათ აღნიშნული საკითხი.

გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმართეს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს და იმედია უახლოეს პერიოდში მოგვარდება ეს პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ჯ. ნადარაია, გ. ხურცილავა, კ. მიქაბერიძე, ე. წურწუმია, გ. ქაძანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N64 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება ნოჯიხევის ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის შუა ნაწილის დემონტაჟს, მისი აზრით უფრო უკეთესი იქნებოდა რეაბილიტაცია გაკეთებულიყო და მთლიანად გადახურულიყო აღნიშნული შენობა.

ა. ვარდია - გამომსვლელმა განმარტა, რომ მთლიანი გადახურვა შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც შენობის შუა ნაწილი ამორტიზებულია და რეაბილიტაციას არ ექვემდებარება, რაზედაც არსებობს აუდიტის დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება ხობის კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრში მიმდინარე სამუშაოების შედეგად მიღებული მეორადი გრანიტის ფილა 150კვ/მეტრი ფართის ოდენობით, რაც მუნიციპალიტეტის გამგეობას არ ესაჭიროება შემდგომი ექსპლუატაციისათვის, ასევე მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება ნოჯიხევის ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა, რომლის გარკვეული ნაწილი ექსპლოატაციისთვის უვარგისია და გამგეობის შესაბამის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრისა და საბავშვო ბაღის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელდეს მისი ნაწილობრივი დემონტაჟი. საპრივატიზებო ობიექტებს თან ერთვის აუდიტორიული დასკვნები. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ გარკვეული კორექტირება იქნა შეტანილი განკარგულების პროექტში, კერძოდ განკარგულების სათაური, კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით: „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი ასევე განკარგულების პირველ პუნქტში, ამ ცვლილებების გათვალისწინებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით და კომისიას

მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ქარდავა, კ. ლატარია, ჯ. ნადარაია, გ. ხურცილავა, კ. მიქაბერიძე, ე. წურწუმია, გ. ქამანაია, მ. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N65 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და და აღნიშნა, რომ „ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №5 განკარგულების საფუძველზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოიცა „ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 2 მარტის №136 ბრძანება, ხოლო „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 სექტემბრის №43 განკარგულების თანახმად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 1 ოქტომბრის №876 ბრძანებით „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ“ შესაბამისად განხორციელდა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ ლიკვიდაციის პროცედურები, რაც დასრულდა მიმდინარე წლის მეორე ნახევარში. ლიკვიდაციის პროცესის დასრულების გამო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა ზემო აღნიშნულ იურიდიულ პირთა დაფუძნებისა და მათი წესდებების დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე განკარგულების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ქარდავა, კ. ლატარია, ჯ. ნადარაია, გ. ხურცილავა, კ. მიქაბერიძე, ე. წურწუმია, გ. ქაძანაია, მ. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N66 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური სამსახურის უფროსი).

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვამდე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების განყოფილების უფროსმა შ. ძაძამიამ განაცხადა, რომ სამსახურის უფროსი (შ. კანკია) ავადმყოფობის გამო, ვერ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, გამომდინარე აქედან დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-8 და მე-9 საკითხებს თვითონ წარმოადგენდა.

მოისმინეს: შ. ძაძამია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამა. 2016 წლისგან განსხვავებით, ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის ღონისძიებებში გათალისწინებულია: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (სტატუს მინიჭებულთა) ერთჯერადი დახმარება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად შშმპ-თა ერთჯერადი დახმარება. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი

მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ჯ. ნადარაია, გ. ხურცილავა, კ. მიქაბერიძე, ე. წურწუმია, გ. ქამანაია, მ. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N67 ოქმს თან ერთვის)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის 2017 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: შ. ძაძამია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი„ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის 2017 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამით, 2016 წელს გათვალისწინებულ მომსახურებებს, მოსახლეობის მოთხოვნით დაემატა ექიმების მომსახურება, კვირაში ერთხელ ყულევის და საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულებში დამტკიცებული გრაფიკს შესაბამისად. ასევე წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების წესები. გამომსვლელის განცხადებით,

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ჯ. ნადარაია, გ. ხურცილავა, ე. წურწუმია, გ. ქაძანაია, მ. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N68 ოქმს თან ერთვის)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016

წლის 22 ნოემბრის №55 განკარგულებით, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები გათვალისწინებულია 59 მოხელისთვის, თუმცა, მონაცემთა გადამოწმებისას აღმოჩნდა ტექნიკური შეცდომა და საბოლოო ჯამში, ტრენინგ-გეგმაში გამორჩენილია 7 მოხელე. აღნიშნულთან დაკავშირებით, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც, ტრენინგ-გეგმაში განისაზღვრა 66 მოხელე, თანხით 26400 ლარი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ტ. ალექსანდრია, კ. ლატარია, ჯ. ნადარაია, გ. ხურცილავა, ე. წურწუმია, გ. ქაძანაია, მ. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N69 ოქმს თან ერთვის)

10. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 დეკემბრის N62 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის"

რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 დეკემბრის N62 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 დეკემბრის N62 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცა თანხმობა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ რეორგანიზაციის თაობაზე. მიღებული განკარგულების თანახმად რეორგანიზაციის პროცესის დაწყების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 1 იანვარი, თუმცა, მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან, საქართველოს კანონმდებლობით რეორგანიზაციისთვის აუცილებელი პროცედურების დაცვით 1 იანვრამდე აღნიშნული პროცედურები ვერ ხორციელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 დეკემბრის N62 განკარგულების ამოქმედების ვადად წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განისაზღვრა 2017 წლის 1 თებერვალი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ტ. ალექსანდრია, კ. ლატარია, ჯ. ნადარაია, გ. ხურცილავა, ე. წურწუმია, გ. ქაძანაია, მ. ნადარაია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N70 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების დასრულების შემდგომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა სიტყვით მიმართა საკრებულოს წევრებს, მოკლე მიმოხილვა გააკეთა მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებულ პროექტებზე, ამასთან, გამოეხმაურა საკრებულოს წევრის ე. წურწუმიას რეპლიკას მუნიციპალიტეტში სამშენებლო ობიექტების არასრულფასოვნად ჩაბარების თაობაზე და განაცხადა, რომ ის ამ შენიშვნას ვერ დაეთანხმება, რადგანაც ყველა ჩაბარებულ ობიექტს თან ერთვის შესაბამისი ექსპერტების დასკვნები, ამასთან გამგეობის კონტროლის ჯგუფი ახორციელებს საბოლოო მიღება-ჩაბარებას, რომლებიც პასუხისმგებლები შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, ამის შემდგომ ეჭვებზე საუბარი არარეალურია. მართლაც თუ არსებობს ვინმეზე ეჭვი შეუძლიათ დაასახელონ და შესაბამის სამსახურები გამოიძიებენ და დამნაშავე უმკაცრესად იქნება დასჯილი, რასაც თვითონაც დაუჭერს მხარს და დასასრულს საკრებულოს თითოეულ წევრს, დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა მათ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ მოკლედ შეაჯამა საკრებულოს მიერ 2016 წლის მუშაობის ანგარიში, ისაუბრა მიმდინარე წელს განხორციელებულ წარმატებულ პროექტებზე, რისთვისაც მადლობა გადაუხადა გამგეობის შესაბამის სამსახურებს და კიდევ ერთხელ მიულოცა დამსწრე საზოგადოებას დამდეგი სობა-ახალი წელი.

საკრებულოს 2016 წლის ბოლო სხდომა სახელმწიფო ჰიმნით დაიხურა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. ნუგზარ შუშანია
8. ლევან ქავთარაძე
9. ვასილ კუკავა
10. როსტევან გვარამია
11. თენგიზ აბაკელია
12. მალხაზ ლაგვილავა
13. მერაბ ნადარაია
14. მალხაზ ყურუა
15. ლეონიდე ლოლუა
16. მერაბ ფილიპია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. კახა მიქაბერიძე
20. გენადი ქაძანაია
21. შადიმან ჭილაია
22. ფრიდონ შონია
23. კახა ლატარია
24. მზია ლემონჯარია
25. იგორ გოგოლაძე
26. ბეჟან ქირია
27. ედიშერ წურწუმია
28. ირაკლი ნადარაია
29. ალექსანდრე ნაჭყებია
30. გიორგი ხურცილავა